ოქმი:**ო37.37211821**

თარიღი:**01/07/2021**

ოქმი #15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 30 ივნისი

ქ. ოზურგეთი

11^{00} – 12^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ჩაგანავა, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, ლ.ბიგვავა, ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ბიუროს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის მოთხოვნით და, ასევე, მისი მოთხოვნითვე, მიმდინარე წლის 1-ივლისს მოწვეული უნდა იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1.”2021-2023 წლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტის მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

5. ქ.ოზურგეთში გრიბოედოვის ქუჩა N20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე კედელზე გამოჩენილი ქორეოგრაფის , ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის, „ჯუმბერ დუნდუას“ სახელობითი მემორიალური დაფის განსათავსებლად -გარდაცვალების ვადის(15 წლის გასვლამდე)შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

6. „ქ.ოზურგეთში გრიბოედოვის ქუჩა N20-ში არსებულ საცხოვრებელი სახლზე ჯუმბერ დუნდუას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

7. .„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თამამომხს: ალეკო მამეშვილი

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N 1, 2, 4 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში(მიმდინარე წლის 7-ივლისი).

2. N3, 5, 6, 7 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წსრიგში, ამასთან N7 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (გ.კილაძე).

3. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 1 ივლისს დღის 11.00 საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი